საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქ. თბილისი **18 აგვისტო, 2020 წელი**

„საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო და საკონკურსო კომისიების შექმნის შესახებ“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის 2018 წლის 9 აგვისტოს №223 ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი N2

საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 270 (კმ269+700)-ზე, მდინარე ნოღელაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშე NAT200010469

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

1. **ირაკლი ქარსელაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარე

კომისიის წევრები:

2. **ალექსანდრე თევდორაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
3. **ლევან კუპატაშვილი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
4. **გიორგი ციბაძე** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
5. **გიორგი წერეთელი** - დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე
6. **ლიკა ჩქოფოია** - დეპარტამენტის იურიდიული სამსახურის უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხემლძღვანელის მოადგილე)
7. **პავლე გამყრელიძე** - დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და განვითარების პარტნიორებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
8. **დავით კალაძე** - დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)
9. **კარლო ლეკვეიშვილი** - დეპარტამენტის ქონების მართვისა და ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები:

1. **ნათია ცხოიძე** - დეპარტამენტის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

<u>დღის წესრიგი:</u>

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, 2020 წლის 21 ივლისს გამოცხადებული, **საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 270 (კმ269+700)-ზე, მდინარე ნოღელაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული ტენდერის NAT200010469 სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.**

<u>მოისმინეს:</u>

სატენდერო კომისიის აპარატმა სატენდერო კომისიის წევრებს წარუდგინა, NAT200010469 ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებით, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის წერილობითი ინფორმაცია (2020 წლის 17 აგვისტოს N7663-2 მოხსენებითი ბარათი), რომლის თანახმად, ხსენებულ ტენდერში კორექტირებას საჭიროებს საპროექტო დოკუმენტაციის შემადგენელი დოკუმენტები და

ხარჯთაღრიცხვა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა NAT200010469 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობებში შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილებები და განხორციელდეს კორექტირებული დოკუმენტების ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს აღნიშნული საკითხი და იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნას NAT200010469 ელექტრონულ ტენდერში ატვირთული სატენდერო დოკუმენტაციის სიზუსტე, აუცილებელია მაში განხორციელდეს ზემოაღნიშნული ცვლილებები და შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი კორექტირებული დოკუმენტაცია განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სატენდერო კომისია ერთხმად დაეთანხმა ზემოაღნიშნულს.

დაადგინეს:

1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-19 მუხლის მოთხოვნების თანახმად, წინამდებარე ოქმის განხილვის ნაწილში მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, განხორციელდეს NAT200010469 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობებში შესაბამისი ცვლილებები და ერთიან ელექტრონულ სისტემაში განთავსდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საპროექტო სამსახურის მიერ მოწოდებული დაზუსტებული საპროექტო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვა.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, უზრუნველყოს საერთაშორისო მნიშვნელობის (ს-1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 270 (კმ269+700)-ზე, მდინარე ნოღელაზე არსებული სახიდე გადასასვლელის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული NAT200010469 ელექტრონული ტენდერის სატენდერო პირობებში ცვლილების შეტანა წინამდებარე ოქმის დადგენილებითი ნაწილის პირველი პუნქტის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე:

ირაკლი ქარსელაძე _____

კომისიის წევრები:

ლევან კუპატაშვილი _____ გიორგი ციბაძე _____

ალექსანდრე თევდორაძე _____ გიორგი წერეთელი _____

ლიკა ჩქოფოია _____ დავით კალაძე _____

კარლო ლეკვეიშვილი _____ პავლე გამყრელიძე _____

კომისიის აპარატის წევრები:

ნათია ცხოიძე _____

Digitally signed by Roads Department of Georgia
Date: 2020.08.18 19:07:14 +04'00'